# გზა ბრინჯაოსკენ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 24 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “პახტაკორი” (ტაშკენტი) 1:0 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, კუტივაძე (დათუნაშვილი), პეტრიაშვილი, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი, ნოდია, მესხი.

“პახტაკორი”: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ინოიატოვი, ნაუმენკო, იუნუსოვი, სოლოხო, იბრაჰიმოვი, ბექთაშევი, კრასნიცკი, აბდურაიმოვი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:1 “პახტაკორის” სასარგებლოდ.

1-ლი წუთი. გავაშელმა ფლანგიდან ფლანგზე გადაიყვანა ბურთი, მესხმა მარცხნიდან ცენტრში დააბრუნა იგი და ნოდიას დარტყმა ოდნავ აცდა კარს.

მე-2 წუთი. მესხის კარგი მიწოდება უმისამართოდ დაიკარგა კარის წინ.

მე-4 წუთი. მეტრეველი-ნოდია. ეს სწრაფად გათამაშებული კომბინაცია უკანასკნელ წამს შეწყვიტა ლიუბარცევმა.

მე-5 წუთი. ლიუბარცევი ვერ მისწვდა მეტრეველის მოწოდებულ ბურთს და მესხმა კარს ზევით გადააგდო იგი.

ასეთ ტემპიან, მწვავე შეტევებით აღსავსე დასაწყისს, თითქოს, წუთი-წუთზე გოლიც უნდა მოჰყოლოდა. დინამოელები 25-ე წუთამდე არ მოსცილებიან “პახტაკორის” კარს და ბურთის გატანის შესაძლებლობა მათ საკმარისზე მეტი ჰქონდათ როგორც ზევით აღწერილ მომენტებში, ისე მერეც, მოგვიანებით, როცა ისინი სისტემატურად გადიოდნენ მეტოქის გაძლიერებულ დაცვას, მაგრამ გოლი არ ჩანდა. საქმეში აქტიურად ჩაერივნენ ნახევარმცველები და რეხვიაშვილიც კი, რომელსაც კონკრეტული ამოცანა _ კრასნიცკის პერსონალური მეურვეობა ჰქონდა დავალებული. მაინც, ტაშკენტელთა კარი ხელუხლებელი იყო.

მხოლოდ 35-ე წუთმა მოუტანა წარმატება თბილისელებს და ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში: მესხმა შორეულ ძელთან დაკიდა ბურთი კუთხური გადაცემიდან, ასათიანმა თავით მიიღო იგი და ზუსტად გაგზავნა კარში.

შესვენების შემდეგ კვლავ ძალაში შევიდა ის დაუწერელი კანონი, რომლის ძალითაც ჩვენი გუნდი მეორე ტაიმს გაცილებით უფრო სუსტად ატარებს, ვიდრე პირველს. სულ არ გამოუვიდა თამაში მეტრეველს, რიტმიდან ამოვარდა გავაშელი, დაიქანცა კუტივაძე. შეტევის სტაბილურობა შეწყდა, ვინაიდან მხოლოდ მესხსა და ნოდიას არ შეეძლოთ სრული ეფექტით ებრძოლათ პახტაკორელებთან. მდგომარეობა იხსნა ასათიანმა, რომელმაც თამამად აიღო თავის თავზე შუა მინდვრის კონტროლი და იერიშების ორგანიზება. მან საუკეთესოდ ჩაატარა მატჩი.

თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა “დინამოს” დაცვას და მას ძნელი წუთების გადატანა დაჭირდა მოპირდაპირე ფორვარდებთან ბრძოლისას, რომლებიც საგრძნობლად გააქტიურდნენ მეორე ტაიმში. 31-ე წუთზე კოტრიკაძეს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა სოლოხოსგან.

მსაჯის საფინალო სასტვენამდე (მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა მატჩის მსვლელობაში) დინამოელთა გამარჯვება კითხვის ქვეშ იყო, მაგრამ გუნდმა მაინც შეძლო კარის უხიფათობის დაცვა და 2 ქულაც აიღო.

**რ. ქორიძე.**
**“ლელო”, 25 ოქტომბერი, 1967 წ.**